**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“**
**თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში შექმნილი**
**სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება**
**გია ქარცივაძის სააპელაციო საჩივარზე**

**26 ივლისი 2022წ.**

2022 წლის 20 ივლისს „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ დირექტორის ბატონ გიორგი კოხრეიძის № 02-09/77 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში, საჩივრის განმხილველი სააპელაციო კომისია გია ქარცივაძის მიერ 2022 წლის 27 ივნისს წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრის გამო. გია ქარცივაძეს გასაჩივრებული ქონდა მაუწყებლის დირექტორის 2022 წლის 24 მაისის №02-09/53 ბრძანებით შექმნილი თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრის განხილვის კომისიის 2022 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება საჩივრის არ დაკმაყოფილების შესახებ.

სააპელაციო კომისიის წევრებს დაეგზავნათ 2022 წლის 24 მაისის №02-09/53 ბრძანებით შექმნილი თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრის განხილვის კომისიის მუშაობის ამსახველი ყველა ოქმი, რაც სააპელაციო კომისიის წევრების მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი. კომისიამ დამატებით მოითხოვა საზოგადოებრივი მაუწყებლობისაგან იმ სიუჟეტის ჩვენება, რის გამოც საჩივარში იყო საუბარი. აღნიშნული თხოვნა იმავე დღესვე დაკმაყოფილდა.

საქმესთან დაკავშირებული მასალების შესწავლის შედეგად სააპელაციო კომისიის წევრები აღნიშნავენ, რომ მაუწყებლის დირექტორის 2022 წლის 24 მაისის #02-09/53 ბრძანებით შექმნილი თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრის განხილვის კომისიას ჩატარებული აქვს საკმაოდ დიდი სამუშაო ყველა დეტალის გამოვლენისა და განხილვის მიზნით. გამოკითხული ყავს ყველა დაინტერესებული პირი. საჩივარზე გაცემული აქვს სამართლებრივად დასაბუთებული პასუხი მასში ყველა აღნიშნული პუნქტის განმარტებით.

სააპელაციო კომისიამ ვერ იპოვა ზემოთ აღნიშნული საჩივრის განხილვის კომისიის მუშაობაში სამართლებრივი და პროცედურული დარღვევები. ასევე,

№ 02-26/1858
29 07 22

მიზანშეწონილად არ მიიჩნია იგივე პროცედურები (მხარეების გამოკითხვები) ეწარმოებინა განმეორებით. ამასთან, გია ქარცივაძის მიერ წარმოდგენილია მხოლოდდამხოლოდ ზოგადი ხასიათის სააპელაციო საჩივარი, რომელიც არ მოიცავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასებას ან/და სამართლებრივი/პროცედურული შეუსაბამობის/დარღვევის შესახებ მითითებას. აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. სააპელაციო კომისიამ მაუწყებელთა ქცევის კოდექსის (2009 წლის 12 მარტის საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება №2, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ"), მე -10 მუხლის მე - 2 პუნქტისა და

2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების (დამტკიცებულია სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის 2022 წლის 11 იანვრის N02-03/ 01 ბრძანებით), მე - 9 მუხლის მე - 6 პუნქტის საფუძველზე

**გადაწყვიტა:**

1. გია ქარცივაძეს უარი ეთქვას სააპელაციო საჩივრის არსებით განხილვაზე დავის უსაფუძვლობის გამო;

2. ძალაში დარჩეს მაუწყებლის დირექტორის 2022 წლის 24 მაისის №02-09/53 ბრძანებით შექმნილი თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრის განხილვის კომისიის 2022 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება მისი დასაბუთებულობის გამო

სააპელაციო კომისია

ომარ ფარტენაძე (თავმჯდომარე)

გურანდა შამილიშვილი

ინგა გოგოლიშვილი